

დანართი №2
2017 წლის 13 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ ს.ტ.№3-17 ხელშეკრულებაზე (CMR170132559)

თბილისი

09.2017წ.

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე თევდორაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, შპს „ცეკური“, წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ბექა ხაბულიანის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის 2017 წლის 08 სექტემბრის №8032-2 მოხსენებითი ბარათისა და 2017 წლის 13 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.ტ.№3-17 ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-14 მუხლის 14.1 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2017 წლის 13 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.ტ.№3-17 ხელშეკრულებას (შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჟინვალ-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ.45-კმ.106 მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის დროებითი პრევენციული ღონისძიებების სამუშაოების განხორციელება) (შემდგომში - ხელშეკრულება) დაემატოს საპროექტო დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვა.

2. წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად კორექტირებას ექვემდებარება ხელშეკრულების ღირებულება. ამდენად, შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 ქვეპუნქტი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 962 765.16 (ცხრაას სამოცდაორი ათას შვიდას სამოცდახუთი ლარი და 16 თეთრი) ლარს“.

3. აღნიშნული ცვლილება იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია ხელშეკრულების ფასი. შესაბამისად, შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში, გატარებული ცვლილებების გათვალისწინებით.

4. ამ დანართზე თანდართული საპროექტო დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი).

5. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

6. ეს დანართი მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

7. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
ალექსანდრე თევდორაძე

მიმწოდებელი
შპს „ცეკური“
აღმასრულებელი დირექტორი
ბექა ხაბულიანი



Handwritten signatures in blue ink, including the signature of Alexander Tevdoradze and Bekha Khabuliani, along with other illegible signatures.

